

ბსუ-ს სტუდენტთა გზამკვლევი

VII თავი

საგამოცდო პროცესი და შედეგების გასაჩივრება (განახლებული რედაქცია - სექტემბერი, 2023 წ.)

ბსუ-ში საგამოცდო პროცესი წარმართება ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის N111 დადგენილებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N2**), ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 თებერვლის N23 დადგენილებით დამტკიცებული „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N19**), ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-02/187 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის“ (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N30**) ან/და შესაბამის სასწავლო წელს, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ან ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დამტკიცებული სამართლებრივი აქტების შესაბამისად.

გამოცდების ჩატარების ინსტრუქცია ადგენს ბსუ-ში სწავლების ყველა საფეხურზე შუალედური, დასკვნითი/დამატებითი გამოცდების ორგანიზების, ჩატარების, საგამოცდო ნაშრომების შეფასების, გამოცდის შედეგის გასაჩივრების, საჩივრის განხილვის წესსა და გამოცდაზე სტუდენტისა და ადმინისტრაციის უფლებამოსილებებს.

შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 21 ქულა, ხოლო რეგულირებად პროგრამებზე (პროგრამით განსაზღვრულ კლინიკურ საგნებში) შუალედური შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - არანაკლებ 25 ქულა. სტუდენტი, რომელიც ვერ გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, დასკვნით გამოცდაზე არ დაიშვება.

დასკვნითი გამოცდის მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არის 20 ქულა.

დამატებით (განმეორებით) გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს სტუდენტს, რომლის საბოლოო შეფასება (მიმდინარე შეფასებისა და გამოცდაზე მიღებული შეფასების ქულათა ჯამით) არის (FX)- ვერ ჩააბარა - 41-50 ქულა“. თუ სტუდენტმა დამატებითი გამოცდისა და შუალედური შეფასების ჯამით მიიღო 41 ქულაზე ნაკლები ან არ შეასრულა საგამოცდო დავალება, ითვლება ჩაჭრილად და ფასდება „(F) ჩაიჭრა“ შეფასებით.

სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია გამოცდის მიმდინარეობისას სტუდენტის მოქმედება, რომელიც არ შეესაბამება ბსუ-ში გამოცდების ჩატარების ინსტრუქციას, სასწავლო პროცესის (მათ შორის ელექტრონულად/დისტანციურად) წარმართვის შესახებ სამართლებრივ აქტებს ან/და ბსუ-ს ეთიკის კოდექსს;

სტუდენტის შეფასებები სილაბუსით განსაზღვრული კომპონენტების მიხედვით აისახება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (შეფასების უწყისში). გამოცდის შედეგები (შეფასება) სტუდენტს ეცნობება „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“ დადგენილ ვადებში. თუ სტუდენტი არ ეთანხმება შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგს, მიღებული შეფასების ელ. სისტემაში ასახვიდან არაუგვიანეს 3 დღისა, წერილობითი განცხადებით (აპელაცია) მიმართავს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანს. განცხადება რეაგირებისთვის გადაეცემა საგნის ლექტორს (სასწავლო კურსის განმახორციელებელ პირს) არაუგვიანეს მე-2 სამუშაო დღისა. დეკანი უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის ნაშრომის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე.

აპელაციის განხილვის შედეგად ლექტორი/კომისია უფლებამოსილია აამაღლოს ან ძალაში დატოვოს სტუდენტის შეფასება. შეფასების ამაღლების შემთხვევაში, ლექტორი/კომისიის თავმჯდომარე, ფაკულტეტის დეკანის ვიზირებით, სამსახურებრივი ბარათით მიმართავს რექტორს, სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში (პორტალზე) საგამოცდო შეფასების ცვლილების შესახებ.

ბსუ-ში შესაძლებელია საგამოცდო პროცესი წარმართოს ელექტრონულად, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილებით ან/და ბსუ-ს რექტორის ბრძანებით დადგენილი რეგულაციების შესაბამისად. ბსუ-ს რექტორის 2021 წლის 22 ოქტომბრის N01-02/187 ბრძანებით დამტკიცებული „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესით“ განისაზღვრა ბსუ-ში სასწავლო პროცესის დისტანციური ფორმატით წარმართვის რეგულაცია (წინამდებარე გზამკვლევის **დანართი N30**).

ელექტრონული სწავლების პროცესის ადმინისტრირების/მართვისა და მხარდაჭერის მიზნით შექმნილია ელექტრონული სწავლების მართვის საუნივერსიტეტო და საფაკულტეტო ჯგუფები, რომლებიც უზრუნველყოფენ აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების კონსულტირებას, ტექნიკურ მხარდაჭერას, სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობის მონიტორინგს.

ბსუ-ში დისტანციური ფორმატით სასწავლო პროცესის დროს ასინქრონული კომუნიკაციისათვის შეიძლება გამოყენებული იყოს ბსუ-ს ელექტრონული პორტალი (portal.bsu.edu.ge), ბსუ-ს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა (spm.bsu.edu.ge) და სასწავლო პლატფორმა Moodle, ხოლო ელექტრონული სწავლების სინქრონული კომუნიკაციისათვის - ონლაინ პლატფორმა „Zoom“.

საგამოცდო პროცესში ყველა მონაწილის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს „პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“, „ბსუ-ში ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესის“ (ელექტრონული/დისტანციური სწავლების შემთხვევაში) შესაბამისი აკადემიური სტანდარტების მოთხოვნათა დაცვა.